საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

შემოსავლების სამსახური

TAX FREE

ურთიერთობა მარტივია

რას წარმოადგენს TAX FREE სერვისი?

უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში უფლებამოსილ სავაჭრო ობიექტებში შეძენილ საქონელზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის დაბრუნება, რომელიც იანგარიშება დარიცხული დღგ-ის თანხიდან - საქონლის ღირებულების 18% - შემოსავლების სამსახურის მომსახურების საფასურისა და ბანკის მიერ გაწეული მომსახურების საკომისიოს გამოკლებით. შემოსავლების სამსახურის მომსახურების საფასური შეადგენს საქონლის დღგ-ის გარეშე ღირებულების 4 %-ს, ხოლო ბანკის საკომისიო - დასაბრუნებელი დღგ-ის თანხის 3%-ს.

სად შეიძლება შევიძინოთ TAX FREE საქონელი?

საქონლის შეძენა შესაძლებელია იმ მაღაზიაში, რომელსაც აქვს TAX FREE სპეციალური ქვითრის გაცემის უფლება და საქონლის მიწოდება იბეგრება დღგ-ით.

დღგ-ის თანხის დაბრუნებისთვის აუცილებელი მოთხოვნები:

- იმისთვის, რომ უფლება გქონდეთ მოითხოვოთ გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნება, უნდა იყოთ უცხო ქვეყნის მოქალაქე;
- დღგ-ის თანხის დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება საქონელზე და არა მომსახურებაზე;
- შესყიდვის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 200 ლარს დღგ-ის თანხის გამოკლებით ერთი ქვითრის მიხედვით; ნაყიდი საქონელი უნდა იყოს განკუთვნილი ქვეყნიდან გასატანად;

- საქონლის გატანა უნდა მოხდეს ყიდვიდან არა უგვიანეს სამი თვისა;
- თქვენ უნდა იქონიოთ დღგ-ის თანხის დაბრუნების სპეციალური ქვითარი;
- დღგ-ის თანხის დაბრუნების სპეციალურ ქვითარში ასახული საქონელი სრულად უნდა იქნას გატანილი საქართველოს ტერიტორიიდან;
- საქონელი უნდა იყოს მოთავსებული სპეციალურ დალუქულ პარკში, გარდა იდენტიფიცირებადი საქონლისა. აუცილებელია, შენარჩუნებული იყოს ლუქის მთლიანობა;
- შეფუთული საქონელი გახსნას ექვემდებარება მხოლოდ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მებაჟე-ოფიცრის მიერ თანხის დაბრუნებაზე დასტურის მიღების შემდეგ.

იდენტიფიცირებადია საქონელი, რომელზეც, ქარხნული წესით, დატანილია საიდენტიფიკაციო ინდივიდუალური (უნიკალური) კოდი/კომბინაცია, რაც წარდგენისას მისი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

როგორ და სად მოითხოვოთ დღგ-ის თანხის დაბრუნება?

- ქვეყნიდან გასვლისას მიმართეთ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მებაჟე-ოფიცერს და წარუდგინეთ დღგ-ის თანხის დაბრუნების სპეციალური ქვითარი, სამგზავრო დოკუმენტი და საჰაერო გზით გადაადგილების შემთხვევაში, სამგზავრო ბილეთი;

- ხელთ გქონდეთ ნივთები, რომლებზეც დღგ-ს ითხოვთ, ვინაიდან მებაჟე - ოფიცერს აქვს უფლება, ფიზიკურად დაათვალიეროს ისინი;
- საქონლის დათვალიერების საფუძველზე, ფაქტობრივად წარმოდგენილისა და ქვითარში მითითებული საქონლის შეუსაბამობის, ასევე, დღგ-ის თანხის დაბრუნებისათვის სხვა აუცილებელი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, თქვენ არ დაგიბრუნდებათ დამატებითი ღირებულების გადასახადი;
- მებაჟე-ოფიცერი ადასტურებს ქვითარს ბეჭდით და გიბრუნებთ ქვითრის ორიგინალს;
- დღგ-ის თანხის დაბრუნება შეგიძლიათ ბანკში, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ;
- საზღვაო ნავსადგურებში დღგ-ის თანხის დაბრუნება შეგიძლიათ საბაჟო კონტროლის გავლის შემდეგ, თუ საპასპორტო კონტროლი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხორციელდება საზღვაო ტრანსპორტზე;
- უნაღდო ანგარიშსწორებისას უცხოელს გადახდილი დღგ-ის თანხა უბრუნდება ქვეყნის დატოვებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ხოლო ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში - უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ქვითრის წარდგენისთანავე.

გაითვალისწინეთ!
დღგ-ის თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება შემდეგ საქონელზე

- მალფუჭებადი საქონელი;
- სატრანსპორტო საშუალება;
- ოქრო, რომლის მასა აღემატება 125 გრამს და რომელიც წარმოდგენილი არ არის სამკაულის (ნაკეთობის) სახით;
- ძვირფასი ქვები;
- საქონელი, რომლის გატანა საქართველოს ტერიტორიიდან საჭიროებს სპეციალურ ნებართვას ან ლიცენზიას, გარდა საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვას დაქვემდებარებული საქონლისა;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის თანახმად, დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლებულ საქონელი.